საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სახელით

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის შეწყვეტის შესახებ

მეორე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

თორნიკე ბაქრაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

მარიკა არევაძე - კოლეგიის წევრი

ცისმარი ონიანი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ნ. გ. /სიითი N..../

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 04.10.2018

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 138/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის წევრების: ი. ს.-ს , ი. კ.-ს, კ. გ-ის მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის დარღვევის გამო მეოთხე დისციპლინური კოლეგიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვა

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 04 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. გ.-მ და მოითხოვა ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის წევრების მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 ნ. გ.-ის განცხადებით, ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგია შემადგენლობით: ი. ს., ი. კ., კ. გ, იხილავს მისი კლიენტის პროცესუალური მოწინააღმდეგე მხარის - ნ. შ.-ის საჩივარს მის მიმართ. მომჩივანი მხარე საჩივარში უთითებს, რომ თითქოს ეშინია ადვოკატი

ნ. გ. არ მივიდეს მასთან და არ მოკლას მცირეწლოვან შვილებთან ერთად. ადვოკატის განმარტებით, საჩივარში მხარე მას გიჟად მოიხსენიებს. ნ. გ. განმარტავს, რომ მან წინასწარ, წერილობით სთხოვა საქმის განმხილველ შემადგენლობას, რომ მისთვის არ დაესვათ კითხვები მკვლელობასთან დაკავშირებით, სანამ მომჩივანი მხარე არ წარმოადგენდა ამ ფაქტის დამადასტურებელ მტკიცებულებებს, რადგან ეს მისთვის იყო შეურაცხმყოფელი.

1.3 2018 წლის 05 სექტემბრის სხდომაზე ზეპირი მოსმენით ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ განიხილა აღნიშნული საჩივარი, სადაც ნ. გ. ჩართული იყო დისტანციურად, სკაიპის მეშვეობით. ადვოკატი განმარტავს, რომ სხდომაზე კომისიის წევრებმა მის მიმართ დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, კერძოდ, ჰკითხეს - ჰქონდა თუ არა ნ. შ.-ის კიბიდან დაგორების მცდელობა, მაშინ, როდესაც ასეთი სახის პრეტენზიას ნ. შ. არ აფიქსირებს ეთიკის კომისიისათვის წარდგენილ საჩივარში. კომისიის წევრების მისამართით მის კანონიერ მოთხოვნაზე, რომ ეჩვენებინათ სად ეწერა ეს პრეტენზია ნ. შ.-ს, კომისიამ განუმარტა, რომ ახლავე აჩვენებდნენ, მაგრამ ვერ იპოვეს და კომისიის წევრმა ი. კ.-მ ჰკითხა: ,,მეშინია არ მომკლას ხომ უწერია და მკვლელობაში რომ გადანაშაულებს ეს უარესი არაა?“, ამ ფრაზით ეთიკის კომისიამ მას ბრალი დასდო მკვლელობაში და აიძულეს თავი ემართლებინა ისეთ ფაქტზე, რაც არ ჩაუდენია, კომისიამ ნ. შ.-ის პრეტენზიას მიამატა ახალი ფაქტი, თითქოს ნ. გ.-მ ვინმეს კიბიდან დაგორება სცადა.

1.4 ადვოკატ ნ. გ.-ის შეფასებით, მისთვის უაღრესად შეურაცხმყოფელი და მორალურად დამამცირებელი იყო, როდესაც ეთიკის კომისიის წევრებმა, მისმა კოლეგა ადვოკატებმა დააბრალეს ისეთი რამ, რასაც საჩივრის ავტორი არ აბრალებდა. კომისიის წევრებმა შელახეს მისი, როგორც დისციპლინურ სამართალწარმოებაში მონაწილე მხარის უფლებები.

1.5 ნ. გ.-ის განმარტებით, მასთან სხდომა დაიწო 3 საათის დაგვიანებით, გარდა ამისა საკითხის განხილვის პროცესში კოლეგიის წევრები საუბრობდნენ ერთმანეთში და მას არ უსმენდნენ. კომისიის მიერ ასევე დარღვეულია საქმის განხილვის 1 თვიანი და გადაწყვეტილების მომზადების 5 დღიანი ვადა.

1.6 ნ. გ.-ის განმარტებით, კომისიის წევრებმა მას დააბრალეს დანაშაული და მის მიმართ დაარღვიეს უდანაშაულობის პრეზუმფცია, გადაამეტეს უფლებამოსილებას, რითაც დაარღვიეს პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული კანონიერებისა და კოლეგიალობის პრინციპი.

II სამოტივაციო ნაწილი

2. შემაჯამებელი დასკვნა

საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის წევრების: ი. ს.-ს , კ. გ-სა და ი. კ.-ს მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

3. **სამართლებრივი შეფასება:**

3.1 კოლეგია აღნიშნავს, რომ ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგია შემადგენლობით: ი. ს., ი. კ., კ. გ, იხილავს ნ. შ.-ის 2018 წლის 23 ივლისის 097/18 საჩივარს ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ. ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების" შესახებ დებულების 27-ე მუხლის თანახმად, საპროცესო კოლეგია დისციპლინური საქმის წარმოების პროცესში შეისწავლის საჩივარს თანდართული მასალებით, მხარეებს ჩამოართმევს წერილობით ახსნა-განმარტებებს საქმის გარემოებებთან დაკავშირებით, განიხილავს მხარეების შუამდგომლობებს, შეისწავლის წარმოდგენილ მტკიცებულებებს და იღებს გადაწყვეტილებას ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის ან დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე. ამავე დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისია შედგება ხუთი დისციპლინური კოლეგიისგან. ყოველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობაში არის ეთიკის კომისიის სამი წევრი". ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ,,ეთიკის კომისია თავის საქმიანობას ახორციელებს დამოუკიდებლად".

3.2 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინურმა კოლეგიამ 2018 წლის 05 სექტემბერს დისტანციურად, ელექტრონული კომუნიკაციის - სკაიპის მეშვეობით გამოკითხა ადვოკატი ნ. გ.. კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნ. გ.-ის პრეტენზიები ეხება მეოთხე დისციპლინური კოლეგიის მიერ სამუშაო პროცესში, დისციპლინური საქმის განხილვისას, კონკრეტულად - ეთიკის კომისიის 2018 წლის 05 სექტემბრის სხდომაზე განხორციელებულ მოქმედებებს: წევრთა მიერ დასმული შეკითხვის შინაარსს, საქმის განხილვის ვადების დაუცველობას, წევრების ერთმანეთთან საუბარს საქმის დეტალებზე. ამ დისციპლინურ საქმეში ნ. გ. წარმოადგენს მოპასუხე ადვოკატს. საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ ეს პრეტენზიები უკავშირდება წევრების მიერ ეთიკის კომისიის წევრის უფლებამოსილების განხორციელებას, ნ. შ.-ის პრეტენზიები არ არის დაკავშირებული მათი, როგორც ადვოკატების საქმიანობასთან. კოლეგია აღნიშნავს, რომ კომისიის წევრები საქმის გამოკვლევის პროცესში არიან დამოუკიდებლები, შეკითხვებს სვამენ საქმეზე სრული ინფორმაციის მისაღებად და ეთიკის კომისიის რომელიმე კოლეგია არ არის უფლებამოსილი შეაფასოს სხვა კოლეგიის საქმიანობა.

3.3 ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების მე-9 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის თანახმად, ,,ეთიკის კომისიის მიერ საჩივარზე წარმოება წყდება და საჩივარი არსებითად არ განიხილება, თუ საჩივრის განხილვა არ შედის ეთიკის კომისიის კომპეტენციაში." კოლეგია მეოთხე დისციპლინური კოლეგიის წევრების მიმართ წყვეტს დისციპლინურ წარმოებას, ვინაიდან ადვოკატ ნ. შ.-ის ყველა პრეტენზია უკავშირდება მეოთხე დისციპლინური კოლეგიის მიერ კანონით ნაკისრი ვალდებულების შესრულების პროცესს.

III სარეზოლუციო ნაწილი

საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-4 ნაწილით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ'' დებულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტით, მე-9 მუხლის „ა" ქვეპუნქტით, 27-ე მუხლით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №138/18 ეთიკის კომისიის მეოთხე დისციპლინური კოლეგიის წევრების მიმართ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /თორნიკე ბაქრაძე/

კოლეგიის წევრი: /მარიკა არევაძე/

კოლეგიის წევრი: /ცისმარი ონიანი/